საექსპერტო დასკვნა

IV კლასს დაქვემდებარებული, მრავალფუნქციური შენობის პროექტის "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან" შესაბამისობაზე.
ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, ნინუას ქ. №3, ნინუასა და ეკა ბეჟანიშვილის ქუჩების კვეთაზე.
დამკვეთი – **შპს „ჯეო-ემ-ტექს“**-ი.
პროექტი შესრულებულია **შპს „სითი და კო“**-ს მიერ.
პროექტის ავტორი – არქიტექტორი – ეკა ედიშერაშვილი.
საექსპერტო დასკვნა ჩატარებულია შპს **„მოდულიონი“-**ს მიერ, თუმანიანის შეს. №4.
დირექტორი – მ. ბაკურაძე.
ინსპექტორი – არქიტექტორი ქ. მაისურაძე.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ტექნიკურ რეგლამენტთან –„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილების („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) **მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის** მიხედვით.

შენიშვნები:

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის „საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.
2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე

და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.
3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

დაგეგმარების საფუძველი და მიზანი:

საპროექტო შენობის დაგეგმარების საფუძველს წარმოადგენს განაშენიანების რეგულირების გეგმა. პროექტი მიზნად ისახავს მრავალფუნქციური შენობის დაგეგმარებას თანამედროვე გეგმარებითი პრინციპებისა და შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების მიხედვით.

მიწის ნაკვეთის მდებარეობა და აღწერა:

საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქ. თბილისში, ნინუას ქ. №3, ნინუასა და ეკა ბეჟანიშვილის ქუჩების კვეთაზე, 5312 კვ.მ ფართობით. ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს ესაზღვრება ნინუას ქუჩა, სამხრეთ-აღმოსავლეთით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, სამხრეთით მომიჯნავე მიწის ნაკვეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთით გზა, ხოლო ჩრდილოეთ მხარეს ეკა ბეჟანიშვილის ქუჩა. ნაკვეთის 2224 კვ.მ ფართობზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), ხოლო 3088 კვ.მ-ზე სამრეწველო ზონა 1 (ს-1). სსზ-1-ის ტერიტორიაზე 184 კვ.მ ფართობი დატვირთულია სერვიტუტით. ტერიტორია ხასიათდება

მარტივი რელიეფით. აბსოლუტური ნიშნულები ზღვის დონიდან 434,5-დან 438,28-მდე მერყეობს. არსებული მდეგომარეობით ტერიტორიაზე განთავსებულია მოქმედი სამკერვალო ფაბრიკა.

პროექტის შინაარსობრივი და აღწერა:

საპროექტო შენობა შედგება 2 ბლოკისგან, აქედან ერთი არის -9, ხოლო მეორე 13 სართულიანი. მიწისპირა სართულის ფართი არის 1084,06 კვ.მ. შემდეგ ფართი ეტაპობრივად იკლებს. ორივე ბლოკის ქვეშ -3,55 ნიშნულზე მდებარეობს ერთდონიანი ავტოსადგომი, რომელიც გათვლილია 25 ავტომობილზე და რამოდენიმე სათავსო. მიწისპირა სართულზე გვხვდება ორი დონე, 0.00 და -0,85. ამ სართულზე განლაგებულია კომერციული სივრცე, ავტოსადგომი 10 ავტომობილზე, ხანძრის მართვის ცენტრი და საქმიანი ზონა, რომელიც მოიცავს ჰოლს, დაცვას, გასახდელსა და ექიმის ოთახებს. მეორე ,მესამე, მეოთხე და მეხუთე სართული მთლიანად დათმობილია საქმიანი ზონისთვის, აქ არის დიდი ოთახები, რომელშიც მოეწყობა „coworking" ტიპის საოფისე სივრცე. მეექვსე სართულიდან მეცამეტეს ჩათვლით მოწყობილია საცხოვრებელი ერთეულები (ბინები). შენობაში არის ოთხი კიბე, და ორი ლიფტი, აქედან ერთი სამგზავრო, ხოლო მეორე- სატვირთო. შენობას აქვს ბრტყელი გადახურვა, რომელზეც მოეწყობა საზაფხულო სივრცე. საპროექტო ტერიტორიაზე ასევე არის 20 ადგილზე გათვლილი ღია ავტოსადგომი.

პროექტის ძირითადი სტრუქტურული სისტემის აღწერა:

შენობის ძირითადი სტრუქტურა არის რკინაბეტონის ხიმინჯებზე დაფუძნებული სტრუქტურული ჩარჩო, რომელიც შედგება გაძლიერებული ბეტონის სვეტებისგან, კოჭებისგან, სართულშუა გადახურვის ფილისა და სახურავის ფილისგან.

ლიფტისა და კიბის უჯრედები მოქცეულია გაძლიერებული რკინაბეტონის კედლებში, სტრუქტურული თვალსაზრისით საჭირო ადგილებში შენობას მთელს სიმაღლეზე მიყვება გაძლიერებული ბეტონის სიხისტის დიაფრაგმები. კიბეები მოწყობილია ასევე გაძლიერებული ბეტონით.

დაგეგმარებისთვის გამოყენებული კანონმდებლობის აღწერა:

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წ. 15 იანვრის №59 დადგენილება; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016წ. 24 მაისის #14-39 დადგენილება; საქართველოს მთავრობის 2016წ. 28 იანვრის #41 დადგენილება. ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე.

ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

მიწის ნაკვეთის ფართობი – 5312 მ^2

განაშენიანების ფართობი – 1408.9 მ^2

საერთო ფართობი – 11540.25 მ^2

მათ შორის:
საცხოვრებელი ფართობი – 3879.4 მ^2

საოფისე ფართობი – 2359.4 მ^2

კომერციული ფართობი – 166.7 მ^2

საზაფხულო ფართობი – 1257.85 მ^2

კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი – 1987.9 მ^2

სასაწყობე ფართობი – 204.6 მ^2

დამხმარე ფართობი – 183.0 მ^2

ავტოსადგომის ფართობი – 1351.3 მ^2

სამშენებლო მოცულობა – 69786.9 მ^3

0.00 ნიშნულის ზევით: 63870.6 მ^3

0.00 ნიშნულის ქვევით: 5916.3 მ^3

შენობის კონსტრუქციული სიმაღლე: 43.77 მ

0.00 ნიშნულის ზევით: 40.12 მ

0.00 ნიშნულის ქვევით: 3.65 მ

განაშენიანების კოეფიციენტი კ1 – 1107.5/2224 = 0.5

ინტენსივობის კოეფიციენტი კ2 –10296.5/2224=4.6

გამწვანების კოეფიციენტი კ3 – 497.11/2224 = 0.2

საექსპერტო დასკვნა შეიცავს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებაში მოთხოვნილი საქართველოს მთავრობის დადგენილება №41 –„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-თან შესაბამისობას შემდეგ ნაწილებში:

1) დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვა:

საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილ პროექტში ერთი მიწის დონის ქვედა და ცამეტი მიწის დონის ზედა სართულია. დაკავებულობები კლასიფიცირებულია წესების **მე-3 თავის** მიხედვით და შეესაბამება **303, 304, 309, 310, 311** და **312 ქვეთავებს.**

პროექტში გამოყენებულია **სასაწყობო (სწ-1), სასაწყობო (სწ-2), საქმიანი (სქ), თავშეყრის (თვ-2), სავაჭრო (სვ), საცხოვრებელი (სც-2)** და **დახმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობები.

მიწის დონის ქვედა სართულზე (**-3.55** ნიშნული) განთავსებულია დახურული ავტოფარეხი (25 ავტომობილზე), წყლის რეზერვუარის და სახანძრო ტუმბოების ოთახები, საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=59.** მათ შორის:
<u>დახურული ავტოფარეხი</u>, **311.3 ქვეთავის** თანახმად, კლასიფიცირებულია, როგორც **სასაწყობო (სწ-2)** ჯგუფის დაკავებულობა, ფართობით **1013.5 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **18.6** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=54**.

<u>წყლის რეზერვუარის და სახანძრო ტუმბოების ოთახი</u>, **312.1 ქვეთავის** თანახმად, კლასიფიცირებულია, როგორც **დახმარე (დს)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **100.6 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **27.9** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=5.**

პირველი სართულის 0.00 ნიშნულზე განთავსებულია კომერციული სივრცე, დახურული ავტოსადგომი (10 ავტომობილზე) და დამხმარე სათავსო, ხოლო **-0.85** ნიშნულზე დაცვისა და ექიმის ოთახები, ხანძრის მართვის ცენტრი, გარდერობები და დამხმარე სათავსო, საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=79.** მათ შორის:

<u>კომერციული სივრცე</u>, **309.1 ქვეთავის** მიხედვით, კლასიფიცირებულია, როგორც **სავაჭრო (სვ)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **138.7 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **2.8** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=50**.

დახურული ავტოსადგომი, **311.3 ქვეთავის** თანახმად, კლასიფიცირებულია, როგორც **სასაწყობო (სწ-2)** ჯგუფის დაკავებულობა, ფართობით **337.8 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **18.6** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=19**;

დაცვისა და ექიმის ოთახები, **304 ქვეთავის** მიხედვით, მიეკუთვნება **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **28.0 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=3**.

გარდერობები და დამხმარე სათავსოები, **311.2 ქვეთავის** თანახმად, კლასიფიცირებულია, როგორც **სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **175.3 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **46.5** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=6**;

ხანძრის მართვის ცენტრი, **311.3 ქვეთავის** თანახმად, კლასიფიცირებულია, როგორც **სასაწყობო (სწ-2)** ჯგუფის დაკავებულობა, ფართობით **29.4 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **46.5** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=1**;

მეორე სართულზე (**2.95** ნიშნული) განთავსებულია საოფისე სივრცე, რომელიც **304 ქვეთავის** მიხედვით, კლასიფიცირებულია, როგორც **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **743.9 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=82**.

მესამე სართული (**5.90** ნიშნული) მთლიანად დათმობილი აქვს საოფისე სივრცეს, როგორც **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობას, საერთო ფართობით **605.6 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=66.**

მეოთხე სართულზე (**8.85** ნიშნული) განთავსებულია საოფისე სივრცე და ორი დამხმარე სათავსო, საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=64.** მათ შორის:
საოფისე სივრცე, როგორც **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **490.6 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=62.**

დამხმარე სათავსები, როგორც **სასაწყობო (სწ-2)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **24.3 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **46.5** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=2**;

მეხუთე სართულზე (**11.80** ნიშნული) განთავსებულია საოფისე სივრცე და ორი დამხმარე სათავსო, საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=63.** მათ შორის:
საოფისე სივრცე, როგორც **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **491.3 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=61.**

დამხმარე სათავსები, როგორც **სასაწყობო (სწ-2)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **24.3 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **46.5** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=2**;

VI–XIII სართულებზე (**14.75**, **17.70**, **20.65**, **23.60**, **26.55**, **29.50**, **32.45**, **35.40** ნიშნულები) განთავსებულია საცხოვრებელი ბინები, რომელიც **310.4 ქვეთავის** შესაბამისად, კლასიფიცირებულია, როგორც **საცხოვრებელი (სც-2)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **4465.0 მ²**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **18.6** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ=229.**

შემოთავაზებული დაკავებულობების ფართობების **ჯამი – 8668.3 მ².**
დაკავებულობების დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი – **დდ=642.**

სართულზე განთავსებული თითოეული დაკავებულობის დატვირთვა გამოყვანილია, ამავე დაკავებულობების თითოეულ სათავსოზე გამოთვლილი დაკავებულობის დატვირთვების შეჯამებით.

2) კონსტრუქციის ტიპების კლასიფიცირება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით საპროექტო შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო (გაძლიერებული ბეტონის კარკასი), იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა), სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა დასრულებული ბრტყელი გადახურვის კონსტრუქციით) აკმაყოფილებს **601 ქვეთავის 601 ცხრილის** მოთხოვნებს.

პროექტის მიხედვით ზემოთაღწერილი ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი, აღწერილი მასალათა სპეციფიკაციიდან გამომდინარე, შეადგენს **2**-საათს და შეესაბამება **601 ცხრილში I-A** ტიპის კონსტრუქციისთვის მოთხოვნილ **2**-საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი **2**-საათს უდრის და აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმალურ ხანძარსაწინააღმდეგო **1**-საათიან ხარისხს. კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები შეესაბამება **601** და **602 ცხრილებში I-A** ტიპის კონსტრუქციისთვის მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხს.

3) სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

503-ე ცხრილის მიხედვით, **I-A** ტიპის კონსტრუქციის შენობისთვის დაშვებულია შეუზღუდავი სართულიანობა, სიმაღლე და ფართობი, ხოლო პროექტით წარმოდგენილია:

სასაწყობო (სწ-2) ჯგუფის დაკავებულობისთვის (დახურული ავტოფარეხები, ხანძრის მართვის ცენტრი და დამხმარე სათავსები): სართული – **4**, სიმაღლე – **12.40 მ** და ფართობი – **1429.3 მ²**;

დამხმარე (დს) ჯგუფის დაკავებულობისთვის (წყლის რეზერვუარის და სახანძრო ტუმბოების ოთახები): სართული – **1**, სიმაღლე – **3.55 მ** და ფართობი – **100.6 მ²**;

სავაჭრო (სვ) ჯგუფის დაკავებულობისთვის (კომერციული ფართი): სართული – **1**, სიმაღლე – **2.95 მ** და ფართობი – **138.7 მ²**;

სასაწყობო (სწ-1) ჯგუფის დაკავებულობისთვის (გარდერობები და დამხმარე სათავსები): სართული – **1**, სიმაღლე – **3.80 მ** და ფართობი – **175.3 მ²**;

საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის (საოფისე ფართობი): სართული – **5**, სიმაღლე – **15.60 მ** და ფართობი – **2359.4 მ²**;

საცხოვრებელი (სც-2) ჯგუფის დაკავებულობისთვის (საცხოვრებელი ბინები): სართული – **8**, სიმაღლე – **23.60 მ** და ფართობი – **4465.0 მ²**.

შემოთავაზებული ფართობების ჯამი – 8668.3 მ².

საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი პროექტი **13**-სართულიანია მიწის ზემოთ, სიმაღლით – **40.12 მ**, მიწის დონის ზემოთ ბოლო იატაკის ნიშნულით **35.40 მ,** განაშენიანების ფართობით – **1408.9 მ²** და საერთო ფართობით – **11540.25 მ²**.

საპროექტო შენობის სიმაღლე და ფართობი განსაზღვრულია წესების **მე-5 თავის 503-ე ცხრილის** მიხედვით, შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე და აკმაყოფილებს განსაზღვრულ ნორმებს.

4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელები.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელი, გასასვლელთან მისადგომი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის დაკავებულობების დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე **მე-10 თავის** შესაბამისად.

საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შენობა ერთი მიწის დონის ქვედა და ცამეტი მიწის დონის ზედა სართულით რთულ რელიეფზეა განთავსებული. შენობას სამი მხრიდან აქვს გასასვლელები: „ა–ვ“, „8–1“ და „ვ–ა“ ფასადების მხრიდან, მიწის დონის 0.00 და -0.85 ნიშნულებზე მოწყობილ ბაქნებზე.

შენობაში მოწყობილია ოთხი კიბის უჯრედი, რომელთაგან <u>ერთი,</u> რომელიც პირველი სართულის ვესტიბიულშია მოწყობილი, აკავშირებს მიწის დონის ქვედა და პირველ სართულებს მიწის დონის ზედა **VI–XIII** სართულებზე (**14.75**-დან **35.40** ნიშნ. ჩათვლით) განთავსებულ საცხოვრებელ ბინებთან (დანარჩენ **II–V** სართულებზე ეს კიბის უჯრედი დახურულია) და გადის სახურავის ზედაპირამდე, <u>მეორე</u> – აკავშირებს ყველა მიწის დონის ზედა სართულს და ასევე, გადის სახურავის ზედაპირამდე, <u>მესამე</u> – მიწის დონის ქვედა სართულზე განთავსებული დახურული ავტოფარეხიდან ადის მეხუთე სართულის იატაკის დონემდე (**-3.55**-დან **11.80** ნიშნ. ჩათვლით), ხოლო <u>მეოთხე</u> – პირველი სართულიდან (**0.00** ნიშნ.), მხოლოდ მიწის დონის ზედა **VI–IX სართულებზე** (**14.75**, **17.70**, **20.65**, **23.60** ნიშნ.) განთავსებულ საცხოვრებელ ბინებს (დანარჩენ **II–V** სართულებზე ეს კიბის უჯრედი დახურულია).
პირველი სართულის ვესტიბიულში მოწყობილი ლიფტები ემსახურება, შენობის ყველა სართულს.

403.5.1 ქვეთავის მიხედვით, აუცილებელი შიგა გასავლელის გზა-კიბეები ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს, არანაკლებ, **9.0** მეტრით ან შენობის ან ფართობის საერთო დიაგონალის მაქსიმალური სიგრძის, არანაკლებ, მეოთხედით, რომელიც ნაკლები იქნება. მანძილი უნდა გაიზომოს

სწორხაზოვნად შიგა გასავლელის გზა-კიბეებთან ყველაზე ახლოს მდებარე წერტილებს შორის. პროექტის მიხედვით, აუცილებელი შიგა გასავლელის გზა-კიბეების შესასვლელები ერთმანეთისგან გამიჯნულია: მიწის დონის ქვედა სართულზე 31.3 მეტრით, პირველ სართულზე 28.4 მეტრით, მეორე – მეხუთე სართულებზე 20.6 მეტრით, მეექვსე – მეცამეტე სართულებზე 15.0 მეტრით, რაც აკმაყოფილებს მოთხოვნას.

პირველ სართულზე (0.00 ნიშნ.) განთავსებულ კომერციულ ფართს აქვს დამოუკიდებელი გასასვლელები, საიდანაც გადის შენობის გარეთ მიწის დონის 0.00 ნიშნულზე.

პირველ სართულზე (0.00 ნიშნული) განთავსებული **დახურული ავტოსადგომი 10** ავტომობილისთვისაა გათვალისწინებული, რომლის ავტოსადგომთან მისადგომი წარმოდგენილია ცალმხრივი შესასვლელით და ცალმხრივი გასასვლელით, 3.6 მეტრი სიგანის, სწორხაზოვანი საავტომობილო პანდუსით, რომლის ქანობი 10%-ია, რაც აკმაყოფილებს **406.9.4.1, 406.9.4.4** და **406.9.4.7 ქვეთავების** მოთხოვნას, ხოლო ავტოსადგომში ავტომობილების მოძრაობა ცალმხრივადაა მოწყობილი და მოხვევა ხდება ავტოსადგომის საავტომობილო გზაზე, რომლის მოხვევის შიგა რადიუსი, **406.9.4.2 ქვეთავის** მიხედვით, დასაშვებია და წარმოდგენილია 3.5 მეტრი.
მიწის დონის ქვედა სართულზე (-3.55 ნიშნული) განთავსებული **დახურული ავტოსადგომი 25** ავტომობილისთვისაა გათვალისწინებული, რომლის ავტოსადგომთან მისადგომი დასაშვებია და წარმოდგენილია ორმხრივი შესასვლელ-გასასვლელიანი, 3.6 მეტრი სიგანის, მრუდხაზოვანი საავტომობილო პანდუსით, რომლის ქანობი 10%-15%-10%-ია, რაც აკმაყოფილებს 406.9.4.1, 406.9.4.4 და **406.9.4.7 ქვეთავების** მოთხოვნას, ხოლო ავტოსადგომში ავტომობილების მოძრაობა ცალმხრივადაა მოწყობილი და მოხვევა ხდება ავტოსადგომის საავტომობილო გზაზე, რომლის მოხვევის შიგა რადიუსი, **406.9.4.2 ქვეთავის** მიხედვით, დასაშვებია და წარმოდგენილია 3.5 მეტრი.

1016.2 ცხრილის მიხედვით, გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი ავტოსაშხეფი სისტემით დაშვებულია:

სასაწყობო (სწ-2) ჯგუფის დაკავებულობისთვის – 120 მეტრი, **საქმიანი (სქ)** ჯგუფისთვის – 90 მეტრი, ხოლო **სავაჭრო (სვ), თავშეყრის (თვ-2),**

საცხოვრებელი (სც-2) და **სასაწყობო (სწ-1)** ჯგუფის დაკავებულობებისთვის – **75** მეტრი.

ხოლო პროექტით, გასასვლელისკენ სავალი მაქსიმალური მანძილი, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სასაწყობო (სწ-2) ჯგუფის დაკავებულობისთვის **22.9** მეტრი;

სასაწყობო (სწ-1) ჯგუფის დაკავებულობისთვის **24** მეტრი;

სავაჭრო (სვ) ჯგუფის დაკავებულობისთვის **18.4** მეტრი;

საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის **44** მეტრი;

საცხოვრებელი (სც-2) ჯგუფის დაკავებულობისთვის **31** მეტრი.

საპროექტო შენობის დაკავებულობების გასასვლელისკენ სავალი მაქსიმალური მანძილი შეესაბამება **1016.2 ცხრილის** მოთხოვნებს.

5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა.

საპროექტო შენობის გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია **1009 ქვეთავის** შესაბამისად. თითოეული გზა-კიბის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1009.4 ქვეთავის** და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.1 ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი (**7.6** მმ). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია **1.1** მეტრი სიგანის გზა-კიბე, რაც შეესაბამება მოთხოვნილს და მიღებული სიგანე შენარჩუნებულია შენობის ყველა სართულისათვის. კიბის საფეხურის თარაზული სიღრმის ზომა **30** სმ-ია, შეუღლი სიბრტყისა კი – **15** სმ. გზა-კიბეები აკმაყოფილებს **1009.7**, **1009.8** და **1009.15 ქვეთავის** მოთხოვნებს, კიბის საფეხურებთან, ბაქნებთან და სახელურებთან დაკავშირებით.

გზა-კიბეებში შემავალი და მიწისპირა სართულზე შენობიდან გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** მიხედვით და ასევე, აკმაყოფილებს **716.5 ქვეთავის** მოთხოვნას, ცეცხლმედეგ კედელში ჩასმულ ღიობებთან დაკავშირებით, რადგან **1009.3.1.1 ქვეთავის** მიხედვით, გზა-კიბის ცეცხლმედეგ ზღუდეს **2**-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი მოეთხოვება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი დერეფნები მოწყობილია **1018 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. დერეფნებში **1018.1 ცხრილის** მიხედვით დაყენებულია **903 ქვეთავის** მიხედვით მოწყობილი ავტოსაშხეფი სისტემა, ხოლო დერეფნის კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე (1 სთ) მეტი – **2** საათი. დერეფნის მინიმალური სიგანე (**1.2 მ**) განსაზღვრულია **1018.2 ქვეთავის** და თითოეულ სართულზე დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით, დერეფნების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2 ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი **(5.1 მმ)**. პროექტის მიხედვით **საცხოვრებელი (სც-2)** ჯგუფის დაკავებულობისთვის გათვალისწინებულია **1.45** მეტრი სიგანის დერეფანი, რაც შეესაბამება და მეტია მოთხოვნილზე.

გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2 ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი **(5.1 მმ)**. გასასვლელის გზა-კარების სუფთა მინიმალური სიგანე შეადგენს **0.82** მეტრს, ხოლო არსებული პროექტით, გასასვლელების სისტემაში შემავალი ყველა გზა-კარის სუფთა თავისუფალი სიგანე შეადგენს მინიმალური **0.85** მეტრიდან **1.35** მეტრამდე ყველა სართულზე.

შენობაში ორი ლიფტია მოწყობილი, თითოეული დამოუკიდებელი შახტით, რომელთაგან ერთი შეესაბამება **1702.4 ქვეთავის** მოთხოვნებს. ლიფტის შახტის ზომებია: 1.60 მ x 2.20 მ და 2.20 მ x 2.80 მ, ხოლო კაბინის – 1.00 მ x 1.30 მ და 1.20 მ x 2.30 მ. ლიფტის შახტებში გათვალისწინებულია დაწნევის სისტემა და საჰაეროები.
შენობის მიწის დონის ქვედა სართულზე (-3.55 ნიშნ.) ლიფტების შახტების წინ გათვალისწინებულია ტამბურ-რაბის მოწყობა, ხანძრის შემთხვევაში ჰაერის დაწნევით. ტამბურ-რაბების მღობავი

კონსტრუქციების ცეცხლმედეგობა **60-**წუთიანია, ხოლო ტამბურ-რაბებში მოწყობილი კარების ცეცხლმედეგობა – **30-**წუთიანი, რაც შეესაბამება მოთხოვნებს.

6) მისაწვდომობის შეფასება.

მე-11 თავის, **1104.1 ქვეთავის** მოთხოვნების შესაბამისად, მიწის ნაკვეთზე შესასვლელი ადგილები უზრუნველყოფილია მისაწვდომი სვლაგეზებით მისაწვდომი ავტოსადგომიდან, გეგმაზე მითითებულია მისაწვდომობის სვლაგეზი და განსაზღვრულია მისაწვდომი შესასვლელი, რომელიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **(შშმ)** პირის მისაწვდომობას ტუალეტებთან.

1105.1 და **1105.1.6 ქვეთავების** მოთხოვნების შესაბამისად, საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია მისაწვდომი შესასვლელები (**0.00** ნიშნ.), შენობის ყველა მხრიდან, რომელიც უზრუნველყოფს **შშმ** პირის შენობაში შესვლა-გამოსვლას და მიწის დონესთან მისადგომს იმავე ნიშნულზე, რის გამოც არ საჭიროებს შესასვლელებთან პანდუსის მოწყობას.

პროექტში გათვალისწინებულია **მე-17 თავის** მიხედვით განსაზღვრული და მოწყობილი ლიფტები, რომელიც ყველა სართულზე უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **(შშმ)** პირების მისაწვდომობას.

<u>მიწის დონის ქვედა სართულზე</u> (**-3.55** ნიშნ.) განთავსებულ დახურულ ავტოფარეხში **25** ავტოსადგომი სივრციდან გათვალისწინებულია <u>ორი</u> მისაწვდომი, ხოლო <u>პირველ სართულზე</u> (0.00 ნიშნ.) განთავსებულ ავტოსადგომში, **10** ავტოსადგომი სივრციდან <u>ერთი</u> მისაწვდომია წარმოდგენილი, ავტომობილების საერთო რაოდენობიდან გამომდინარე, რაც აკმაყოფილებს **1106.1** ცხრილის აუცილებელ მოთხოვნას.

<u>მეექვსე – მეცამეტე</u> სართულებზე განთავსებული **62** საცხოვრებელი ერთეულიდან **4** მისაწვდომია, საცხოვრებელი ერთეულების საერთო

რაოდენობიდან გამომდინარე, რაც აკმაყოფილებს **1107.6.1.1** ცხრილის აუცილებელ მოთხოვნას.

7) გარე კედლებისადმი მოთხოვნები.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი **2** საათს უდრის და აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** („ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები გარე კედლებისათვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის მიხედვით“) განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მასალიდან და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე. სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები შეესაბამება **601 ცხრილში** მოთხოვნილ 1-საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს.

გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

<u>1 – 8 ღერძებში</u> ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **42.5** მეტრია, ღიობების ფართობი დაუცველი საშხეფით დასაშვებია **შეუზღუდავად**, ხოლო წარმოდგენილია **54 %**.

<u>ა – ზ ღერძებში</u> ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **13.2** მეტრია, ღიობების ფართობი დაუცველი საშხეფით დასაშვებია **შეუზღუდავად**, ხოლო წარმოდგენილია **61 %**.

<u>8 – 1 ღერძებში</u> ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **8.5** მეტრია, ღიობების ფართობი დაუცველი საშხეფით დასაშვებია **შეუზღუდავად**, ხოლო წარმოდგენილია **14 %**.

<u>ზ – ა ღერძებში</u> ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **7.3** მეტრია, ღიობების ფართობი დაუცველი საშხეფით დასაშვებია **შეუზღუდავად**, ხოლო წარმოდგენილია **15 %**.

8) სახურავის ანაწყობების შეფასება.

საპროექტო შენობას აქვს ბრტყელი გადახურვა, ზედ მოწყობილი სამანქანო განყოფილებით და კიბის უჯრედის ამოსასვლელით. გადახურულია ბეტონის სახურავის ბურულით, რომელიც **1505.2 ქვეთავის** მიხედვით, **A** კლასის სახურავის ანაწყობებს მიეკუთვნება. ამავე ქვეთავის შესაბამისად, **A** კლასის სახურავის ანაწყობები ტესტირების დროს უძლებს ძლიერი ცეცხლის ზემოქმედებას, რომლის გამოყენებაც ნებადართულია ყველა ტიპის შენობაზე ან ნაგებობაზე. ბეტონის სახურავის ბურულებზე, ჰიდროიზოლაცია მოწყობილია ისე, რომ კედლის ზედა ბურულების გადაბმების, პარაპეტის კედლების გადაკვეთის ადგილების და სახურავის ზედაპირზე არსებული სხვა ღიობების გავლით ნესტმა ვერ შეაღწიოს კედელსა და სახურავში, რაც შეესაბამება **1503.2** ქვეთავის მოთხოვნებს.

1009.16 ქვეთავის („**სახურავზე ასასვლელი გზა-კიბე**“) მოთხოვნების შესაბამისად, საპროექტო შენობის ბოლო, **მეცამეტე** სართულიდან ორივე ლიფტი და ორი გზა-კიბე გრძელდება სახურავის ბრტყელ ზედაპირამდე, სადაც გათვალისწინებულია ლიფტის სამანქანოსა და კიბის უჯრედების ამოსასვლელების მოწყობა **38.35** ნიშნულზე.

შენობის <u>პარაპეტები</u> აგებულია **705.11.1 ქვეთავის** მოთხოვნების გათვალისწინებით. პარაპეტის სიმაღლე **26.55** ნიშნულზე **0.95** მეტრია, ხოლო **38.35** ნიშნულზე **1.20** მეტრი, რომლის ცეცხლმედეგობის ხარისხი შეესაბამება საყრდენი კედლის **2**-საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს.

9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება.

საპროექტო შენობაში წარმოდგენილია ექვსი შერეული დაკავებულობა: **სასაწყობო (სწ-2), სასაწყობო (სწ-1), დამხმარე (დს), სავაჭრო (სვ), საქმიანი (სქ)** და **საცხოვრებელი (სც-2)**, რომლებიც ერთმანეთისგან გამიჯნულია ორსაათიანი თარაზული ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს წესების **420.3 ქვეთავის** და **707.3.10 ცხრილის** მოთხოვნებს.

მე-10 თავის 1009.3.1.2 ქვეთავის მიხედვით, ოთხი ან ოთხზე მეტი სართულის დამაკავშირებელი გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბეების შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი უნდა იყოს, არანაკლებ, 2 საათი, ხოლო პროექტით წარმოდგენილია 2 საათი, რაც შეესაბამება აღნიშნული ქვეთავის მოთხოვნებს.

საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შენობის გამმიჯნავები დაკავებულობებს შორის, კიბის უჯრედის, ლიფტის და სავენტილაციო შახტების შემომზღუდავები 2-საათიანი ცეცხლმედეგობისაა და შეესაბამება წესების **მე-10 თავის** მოთხოვნებს.

ასევე, შენობაში არსებული ყველა შახტა, რომლებშიც განთავსებულია საცხოვრებელი ერთეულებისთვის და შენობის სხვა ნაწილებისთვის საჭირო გაყვანილობები, შემოზღუდულია 2-საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, რაც აკმაყოფილებს შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **713.4 ქვეპუნქტის** მოთხოვნებს.

1018.1 ქვეთავის თანახმად, ცეცხლმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვება დერეფნებს, რომლებიც მდებარეობს საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობის საცხოვრებელ ან საძინებელ ერთეულში.

10) ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

მრავალფუნქციური შენობის დაკავებულობებისთვის წესების **მე-9 თავის** მიხედვით განსაზღვრულია შემდეგი ხანძრისაგან დაცვის აქტიური სისტემები:

903.2 ქვეთავის შესაბამისად, ავტოსაშხეფი სისტემა მოწყობილია მთელ შენობაში, გარდა **მეათე – მეცამეტე** სართულებზე (**26.55, 29.50, 32.45, 35.40** ნიშნ.) განთავსებულ **სც-2** ჯგუფის დაკავებულობისა.

903.2.8 ქვეთავის გამონაკლისი 1-ის მოთხოვნების მიხედვით, **სც-2** ჯგუფის დაკავებულობა ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობას არ საჭიროებს.

904 ქვეთავის თანახმად, საპროექტო შენობა ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემის მოწყობას არ საჭიროებს.

905.3.1 ქვეთავის მიხედვით, სახანძრო მილდგარების სისტემის მოწყობა გათვალისწინებულია კიბის უჯრედთან დერეფანში.

906.1 ქვეთავის შესაბამისად, ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია ყველა სართულის დერეფანში.

907 ქვეთავის შესაბამისად, სახანძრო განგაშის, კვამლაღმომჩენი და ცეცხლაღმომჩენი სისტემები მოწყობილია მთელ შენობაში.

907.2.11.2 ქვეთავის მიხედვით, **სც-2** ჯგუფში კვამლზე მორეაგირე მაუწყებელის მოწყობილობები დაკავებულობის დატვირთვის მიუხედავად განთავსებულია თითოეული ცალკეული საძინებელი ფართობის ჭერზე.

908 ქვეთავის მიხედვით, შენობაში მოწყობილია საავარიო განგაშის სისტემები.

909 ქვეთავის შესაბამისად, შენობის კიბის უჯრედებში, ლიფტებსა და მიწის დონის ქვედა სართულის ლიფტის ტამბურ-რაბებში გათვალისწინებულია კვამლის საკონტროლო, მექანიკური განიავების და დაწნევის სისტემების მოწყობა.

საპროექტო შენობა აღჭურვილია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლებით, სახანძრო ტუმბოებითა და წყლის რეზერვუარით.

საპროექტო შენობის საევაკუაციო გზებზე გათვალისწინებულია ევაკუაციის მართვის სისტემების და საევაკუაციო განათებების მოწყობა.

საპროექტო შენობის გარედან „ა–ვ“ და „8–1“ ფასადების მხრიდან, დაყენებულია სახანძრო ჰიდრანტები.

11) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.

წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მინიმალური რაოდენობა გამოთვლილია **სავაჭრო (სვ)**, **საქმიანი (სქ)**, **სასაწყობო (სწ-1)**, **სასაწყობო (სწ-2)** და **საცხოვრებელი (სც-2)** ჯგუფის დაკავებულობისთვის. გამოთვლისას მიღებული წილადი რიცხვი დამრგვალებულია მთელ რიცხვამდე და შეესაბამება **ცხრილი 1602.1**-ის მინიმალურ მოთხოვნებს. წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მინიმალურმა რაოდენობამ შეადგინა:

<u>პირველ სართულზე:</u>

სავაჭრო (სვ), **საქმიანი (სქ)**, **სასაწყობო (სწ-1)** და **სასაწყობო (სწ-2)** ჯგუფის დაკავებულობებისთვის (დდ=79):

- 4 უნიტაზი და 4 ხელსაბანი;
- 1 სასმელი წყლის შადრევანი;
- 2 სამომსახურეო ნიჟარა.

<u>მეორე სართულზე</u>:

საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=82):

- 8 უნიტაზი და 8 ხელსაბანი;
- 1 სასმელი წყლის შადრევანი;
- 1 სამომსახურეო ნიჟარა.

<u>მესამე სართულზე</u>:

საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=66):

- 4 უნიტაზი, 1 პისუარი და 5 ხელსაბანი;
- 1 სასმელი წყლის შადრევანი;
- 1 სამომსახურეო ნიჟარა.

<u>მეოთხე სართულზე</u>:

საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=62):

- 8 უნიტაზი და 8 ხელსაბანი;
- 14 შხაპი;
- 2 სასმელი წყლის შადრევანი;
- 1 სამომსახურეო ნიჟარა.

<u>მეხუთე სართულზე</u>:

საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის (დდ=61):

- 8 უნიტაზი და 8 ხელსაბანი;
- 14 შხაპი;
- 2 სასმელი წყლის შადრევანი;
- 1 სამომსახურეო ნიჟარა.

<u>VI–XIII სართულებზე</u>:

საცხოვრებელი (სც-2) ჯგუფის დაკავებულობისთვის (62 ბინა):

- 70 უნიტაზი და 70 ხელსაბანი;
- 70 შხაპი;

- 62 სამზარეულოს ნიჟარა;
- 62 ავტომატური სარეცხის მისაერთებელი.

წარმოდგენილ პროექტში სრულადაა გათვალისწინებული **1602.1 ცხრილის** მოთხოვნები.

<u>შესამუშავებელი პროექტების ჩამონათვალი:</u>

ვინაიდან, საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილ პროექტში ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხები განიხილება ტექნიკური სქემების დონეზე და არა ამ სისტემების მოწყობისათვის შესაბამისი პროექტის შემუშავებით, აუცილებელია შემუშავებული იქნას ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების სრული პროექტები და წარმოდგენილი იქნას განსახილველად, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა) შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელების მოწყობა დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;

ბ) შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელების მოწყობა დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;

გ) შენობაში ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობა დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;

დ) კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობა დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;

ე) შენობის ვენტილაციის სისტემის მოწყობა, დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;

ვ) ელექტროდანადგარების მოწყობა დადგენილი წესით შემუშავებული დაპროექტების დოკუმენტების შესაბამისად;

გაცნობებთ, რა ზემოთ აღნიშნულს, წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, უზრუნველყოფილი უნდა იქნას შენობის პროექტში სათანადო ცვლილებების და დამატებების შეტანა.

დასკვნა:

ზემოთ აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, ნინუას ქ. №3-ში, ნინუასა და ეკა ბეჟანიშვილის ქუჩების კვეთაზე, მრავალფუნქციური შენობის პროექტის არქიტექტურული დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“, ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ინფორმაციას.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ინსპექტორი: არქიტექტორი ქართლოს მაისურაძე





დიპლომი

ПВ № 049083

ეს დიპლომი მიეცა ქართლოს
შალვას ძე მაისურაძეს
მასზე, რომ იგი 1978 წელს შევიდა
საქართველოს ვ.ი. ლენინის სახელობის
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1987 წელს დაამთავრა
აღნიშნული
ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით
არქიტექტურა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1987 წ.
4 ივლისის გადაწყვეტილებით
ქ.შ. მაისურაძეს მიენიჭა
არქიტექტორის
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

ბ.ა.

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი 1987 წ. „28“ X

სარეგისტრაციო № 3154

Грузинский вп.

ДИПЛОМ

ПВ № 049083

Настоящий диплом выдан Маисурадзе
Картлосу Шалвовичу
в том, что он в 1978 году поступил
в Грузинский политехнический
институт им. В.И. Ленина
и в 1987 году окончил полный курс
названного
института
по специальности архитектура

Решением Государственной экзаменационной
комиссии от „4“ июля 1987 г.
Маисурадзе К.Ш.
присвоена квалификация архитектора

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П.

Город Тбилиси „28“ X 1987 г.

Регистрационный № 3154

Московская типография Гознака. 1986.

სახელი, გვარი : ქართლოს მაისურაძე

დაბადების თარიღი : 26.02.1959

მისამართი : ქ.თბილისი, თუმანიანის შესახვ, 4

ტელეფონი : 593 328 322

ელ.ფოსტა : kartlosm@gmail.com

განათლება : საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, არქიტექტურის ფაკულტეტი

პროფესიული გამოცდილება : 30 წლის მუშაობის სტაჟიინჟინერ-არქიტექტორად

პროგრამების ცოდნა : AutoCAD, Photoshop, Artlantis

შესრულებული ობიექტები :

- მრავალფუნქციური შენობა, წერეთლის 49-51.

- მრავალფუნქციური შენობა, პეტრიწის ქუჩა, 1კორპუსის მიმდებარედ.

- სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი სახლი ბაკურიანში, 25 მეტრიანების მიმდებარედ.

- კოტეჯები ბაკურიანში, 25 მეტრიანების მიმდებარედ (შეთანხმების პროცესში).

- მრავალფუნქციური შენობა, დიდი დიღომი, 2 მიკრორაიონი, ი.პეტრიწის და დ.თავდადებულს შორის.

- მწვანე აფთიაქი, თბილისი, ლესელიძის 53.

- მრავალფუნქციური შენობა, დიდი დიღომი, 1 მიკრორაიონი, ცენტრალური გზა, უბანი 3, ნაკვეთი.

- მრავალფუნქციური შენობა, დიდი დიღომი, 1 მიკრორაიონი, ცენტრალური გზა. ——ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლები.